შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქმილსადენმშენი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქართველო, ქ. თერჯოლა
2020 წ.

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

4. სრული შემოსავლის ანგარიშგება

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს
საქმილსადენმშენი

სოფ. კვახჭირი, თერჯოლა საქართველო
(+995) 599 511 531; 599 60 62 64
E–mail: sakmilsadenmsheni@gmail.com
temolomtadze@gmail.com
სს "თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ნ GE71TB0300000030467042
ს/კ 221267064

LTD
SAKMILSADENMSHENI

Village Kvakhchiri, Terjola, Georgia
(+995) 599 511 531; 599 60 62 64
E–mail: sakmilsadenmsheni@gmail.com
temolomtadze@gmail.com
TBC bank Kutaisi TBCBGE22
b/a GE71TB0300000030467042
i/c 221267064

N 295/2

1 ივლისი 2021 წელი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ,,საქმილსადენმშენი"-ს (შემდგომში „საწარმო") ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, საღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირე-ბადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწრმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 01 ივლისს.

პატივისცემით

დირექტორი
ა. ლომთაძე

შპს „საქმილსადენმშენი“-ს
დამფუძნებლებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „საქმილსადენმშენი“-ს** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საარიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „საქმილსადენმშენი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - `*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „საქმილსადენმშენი“-საგან** „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ

არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს **შპს „საქმილსადენმშენი"**-ს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ **შპს „საქმილსადენმშენი"**-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა **შპს „საქმილსადენმშენი“**-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება **შპს „საქმილსადენმშენი“** უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით **შპს „საქმილსადენმშენი“** ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა ასევე, განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებს მათი არსი.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების თანხვედრილია.

გარიგების პარტნიორი

კ. დათიაშვილი

01.07.2021 წ.

სრული შემოსავლებისა ანაგარიშგება

2020 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2020	**31.12.2019**
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	4	**30 221 207**	**44 361 502**
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(27 178 325)	(41 024 036)
საერთო მოგება		**3 042 882**	**3 337 465**
სხვა შემოსავალი	6	315 321	464 073
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2 264 065)	(2 228 659)
სხვა ხარჯები	8	(95 486)	(263 960)
ფინანსური ხარჯები	9	(672 342)	(740 076)
მოგება დაბეგვრამდე		**326 310**	**568 843**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(1 210)
მიმდინარე წლის მოგება		**326 310**	**567 633**

დირექტორი **ა. ლომთაძე**

სრული შემოსავლებისა ანაგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2020	31.12.2019
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	4	30 221 207	44 361 502
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(27 178 325)	(41 024 036)
საერთო მოგება		3 042 882	3 337 465
სხვა შემოსავალი	6	315 321	464 073
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2 264 065)	(2 228 659)
სხვა ხარჯები	8	(95 486)	(263 960)
ფინანსური ხარჯები	9	(672 342)	(740 076)
მოგება დაბეგვრამდე		326 310	568 843
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(1 210)
მიმდინარე წლის მოგება		326 310	567 633

დირექტორი ა. ლომთაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2020		31.12.2019	
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	11	11 208 977		11 566 739	
არამატერიალური აქტივები	12	343 796		431 776	
გრძელვადიანი მოთხოვნები	13	218 529		404 980	
სულ გრძელვადიანი აქტივი			11 771 302		12 403 496
მიმდინარე აქტივები					
მარაგი	14	3 615 611		3 628 350	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5 349 877		4 770 357	
ფულადი სახსრები	16	47 926		92 603	
სულ მიმდინარე აქტივები			9 013 414		8 491 311
სულ აქტივები			***20 784 716***		***20 894 807***
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	17	44 130		44 130	
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		12 107 993		11 781 684	
სულ საკუთარი კაპიტალი			12 152 123		11 825 814
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხი	18	1 350 382		1 364 327	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებეები			1 350 382		1 364 327
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	4 419 515		6 718 708	
მოკლევადიანი სესხი	20	2 454 406		635 673	
საგადასახადო ვალდებულებები	21	107 755		29 621	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22	300 535		320 664	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებეები			7 282 211		7 704 666
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			***20 784 716***		***20 894 807***

დირექტორი ა. ლომთაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2020		31.12.2019	
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	11	11 208 977		11 566 739	
არამატერიალური აქტივები	12	343 796		431 776	
გრძელვადიანი მოთხოვნები	13	218 529		404 980	
სულ გრძელვადიანი აქტივი			11 771 302		12 403 496
მიმდინარე აქტივები					
მარაგი	14	3 615 611		3 628 350	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5 349 877		4 770 357	
ფულადი სახსრები	16	47 926		92 603	
სულ მიმდინარე აქტივები			9 013 414		8 491 311
სულ აქტივები			*20 784 716*		*20 894 807*
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	17	44 130		44 130	
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		12 107 993		11 781 684	
სულ საკუთარი კაპიტალი			12 152 123		11 825 814
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხი	18	1 350 382		1 364 327	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებეები			1 350 382		1 364 327
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	4 419 515		6 718 708	
მოკლევადიანი სესხი	20	2 454 406		635 673	
საგადასახადო ვალდებულებები	21	107 755		29 621	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22	300 535		320 664	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებეები			7 282 211		7 704 666
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			*20 784 716*		*20 894 807*

დირექტორი ა. ლომთაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2018 ნაშთი	***44 130***	***11 214 051***	**11 258 181**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	*567 633*	**567 633**
31.12.2019 ნაშთი	***44 130***	***11 781 684***	**11 825 814**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	*326 310*	**326 310**
31.12.2020 ნაშთი	***44 130***	***12 107 993***	***12 152 123***

დირექტორი **ა. ლომთაძე**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2018 ნაშთი	***44 130***	***11 214 051***	**11 258 181**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	*567 633*	**567 633**
31.12.2019 ნაშთი	***44 130***	***11 781 684***	**11 825 814**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	*326 310*	**326 310**
31.12.2020 ნაშთი	***44 130***	***12 107 993***	***12 152 123***

დირექტორი ა. ლომთაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2020		31.12.2019	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	**27,655,228**		**40,678,759**	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(23,753,943)		(38,958,057)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,943,570)		(3,482,689)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	957,715		(1,761,987)	
გადახდილი გადასახადები	(1,645,805)		(2,987,120)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(688,090)**		**(4,749,107)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	(651,815)		(2,002,993)	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(651,815)**		**(2,002,993)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან				
გადახდილი დივიდენდი	-		(15,335)	
გაცემული სესხი	(8,800)		(17,500)	
სესხის მიღება	3,400,000		5,086,937	
სესხის დაფარვა	(1,415,813)		(3,546,937)	
მიღებული პროცენტები	-		250,114	
სესხის პროცენტის დაფარვა	(680,159)		(742,969)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**1,295,228**		**1,014,310**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება		**(44,677)**		**(5,737,790)**
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**92,603**		**5,830,393**	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**47,926**		**92,603**	

დირექტორი **ა. ლომთაძე**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2020		31.12.2019	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	27,655,228		40,678,759	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(23,753,943)		(38,958,057)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,943,570)		(3,482,689)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	957,715		(1,761,987)	
გადახდილი გადასახადები	(1,645,805)		(2,987,120)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(688,090)		(4,749,107)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	(651,815)		(2,002,993)	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(651,815)		(2,002,993)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან				
გადახდილი დივიდენდი	-		(15,335)	
გაცემული სესხი	(8,800)		(17,500)	
სესხის მიღება	3,400,000		5,086,937	
სესხის დაფარვა	(1,415,813)		(3,546,937)	
მიღებული პროცენტები	-		250,114	
სესხის პროცენტის დაფარვა	(680,159)		(742,969)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		1,295,228		1,014,310
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება		(44,677)		(5,737,790)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის დასაწყისისათვის	92,603		5,830,393	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის ბოლოსათვის	47,926		92,603	

დირექტორი ბ. ლომთაძე

1. *ზოგადი ინფორმაცია*

შპს ,,საქმილსადენმშენი“ რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 10 აგვისტოს. საიდ. კოდი 221267064. იურიდიული და ფაქტიური მისამართია თერჯოლის რაიონი სოფელი კვახჭირი. კომპანია დააფუძნა 39 პარტნიორმა. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ,,საქმილსადენმშენს“ ჰყავს 28 პარტნიორი. მათგან 4 პარტნიორი ფლობს კომპანიის კაპიტალის სამოცდა თხუთმეტამდე პროცენტს.

N	მესაკუთრე	წილი %
1	ავთანდილი ლომთაძე	30,83
2	მერაბი ხელაძე	21,28
3	ამბერკი ნიქაბაძე	19,66
4	გრიგოლ ნიშნიანიძე	3,46
5	სხვა 24 მესაკუთრე	24.77
სულ		**100**

2011 წლის აპრილში საწარმომ აუქციონის წესით შეიძინა სოფელ კვახჭირში არსებული ასფალტო-ბეტონის ქარხანა, რომელიც განთავსებული იყო 70290 კვმ. მიწის ნაკვეთზე, 2015 წელს შეძენილი იქნა ბეტონის ქარხანა და 49566 კვმ მიწის ნაკვეთი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე საწარმოო ბაზა, ასვალტო/ბეტონის ქარხანა და ოფისი განთავსებულია თერჯოლის რაიონში სოფელ კვახჭირში.

2017 წლის 19 აპრილს საქმილსადენმშენს მიენიჭა ISO 9001:2008 სერთიფიკატი N 9950015.

კომპანიის მიზანია, საგზაო ინფრასტრუქტურის და გაზის და ნავთობის კორპორაციების პროექტებში მონაწილეობა და შესაბამისი სამუშაოების შესრულება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის გზების, ხიდების, მილსადენების მშენებლობა, ასფალტო/ ბეტონის და ბეტონის წარმოება, ბუნებრივი რესურსების (ქვიშა-ხრეშის) მოპოვება და გადამუშავება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდა-რტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარი.

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის; პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში; პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში; ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით.

2. ***მომზადების საფუძველი***

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

ახალი ან შესწორებული ფასს-ების და ინტერპრეტაციების მიღება

ძალაში შესული ფასს სტანდარტებში ცვლილებები

2020 წლის 1 იანვარიდან ძალაში შესული ფასს სტანტარტებში ცვლილებები *(„საბაზისო საპროცენტო განაკვეთის გამოყენების რეფორმის ცვლილების გავლენა ბასს 7-სა და ბასს 9-ზე“; „კოვიდ -19 თან დაკავშირებული ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები“; „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებებთან დაკავშირებით“.)* არ შეხებია საწარმოს და მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებსა და განმარტებით შენიშვნებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები რომელიც გამოცემულია მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ გახდება აუცილებელი ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტე-ბის/სტანდარტებში შესული ცვლილებების გამოყენება, შესაბამისად, საწარმოს ფინანსურ

ანგარიშგებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს იმ სტანდარტის შემოღება, რომელიც გამოცემულია ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, მაგრამ მათი ძალაში შესვლის თარიღი არ დამდგარა:

ფასს 17	სადაზღვეო კონტრაქტები
შესწორებები ბასს -1-ში	ვალდებულებების მიმდინირედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაცია
ფასს 10 და ბასს 28(შესწორებები)	აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორებები ფასს -3-ში	კონცეპტულაური საფუძვლების მითითებები
შესწორებები ბასს -16-ში	ძირითადი საშუალებები - ქმედებები სავარაუდო გამოყენებამდე
შესწორებები ბასს -37-ში	წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯები
ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება 2018-2020 წწ. ციკლისთვის	შესწორებები ფასს -1 ში ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება; ფასს 9 -ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა.

3. *არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა*

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

(ბ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

(ვ) დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირეული გადასვლა კომპანიაზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 2 - 5%
- მანქანა-დანადგარები 10-15%
- საოფისე აღჭურვილობა 20-30%
- ავეჯი და მოწყობილობები 14-20%
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი

ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: ლიცენზიებისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 15% განაკვეთით.

(კ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში _ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კომპანიას ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშნელოვანი საკომპესაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

(ნ) ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4. ამონაგები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან	25 676 625	39 964 828
2	საქონლის გაყიდვა	4 540 949	4 389 580
3	მომსახურების გაწევა	3 591	5 018
4	სხვა შემოსავლები	42	2 076
	ამონაგები მიწოდებიდან	**30 221 207**	**44 361 502**

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

5. რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	ძირითადი მასალების დანახარჯები	13 829 335	16 044 336
2	პირდაპირი ხელფასი	2 559 287	3 341 280
3	შეძენილი მომსახურება	9 464 289	21 028 782
4	ცვეთა და ამორტიზაცია	353 618	345 780
5	კომუნალური ხარჯები	-	4 029
6	საიჯარო ხარჯი	10 250	22 259
7	მივლინება	44 155	184 958
8	რემონტის ხარჯები	917 391	52 611
	ჯამი:	**27 178 325**	**41 024 036**

6. არასაოპერაციო შემოსავლები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	საპროცენტო შემოსავლები	19 026	261 025
2	შემოსავლები აქტივის აღიარებიდან	53 058	19 983
3	შემოსავლები ვალდებულებათა ჩამოწერით	3 130	4 606
4	შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან	121 031	-
5	სხვა შემოსავალი	119 077	180 077
	ჯამი:	**315 321**	**465 691**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	მარაგის ხარჯი	43323	65408
2	შრომის ანაზღაურება	790206	775993
3	ცვეთის ამორტიზაციის ხარჯი	938369	911995
4	შეძენილი მომსახურების ხარჯი	48413	69029
5	კომუნალური ხარჯი	102038	83153
6	კომუნიკაციის ხარჯები	20559	22595
7	დაზღვევის ხარჯი	60423	55105
8	მივლინება	4785	16445
9	მოგების გადასახადის ხარჯი	19606	11654
10	სხვა საგადასახადო ხარჯი	199754	124667
11	მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	15309	23999
12	აუდიტის ხარჯი	17000	17000
13	სხვა ხარჯები	4280	53235
	ჯამი:	**2 264 065**	**2 230 277**

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

8.სხვა ხარჯები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	საკურსო სხვაობა	20 592	87 425
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23 944	9 872
3	ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	29 464	145 577
4	ხარჯები დებიტორ-კრედიტორის ჩამოწერიდან	110	150
5	საქველმოქმედო ხარჯი	300	400
6	საურავები და ჯარიმები	21 076	20 536
	ჯამი:	**95 486**	**263 960**

9.ფინანსური ხარჯები

	დასახელება	2020 წელი	2018 წელი
1	სს „თი ბი სი ბანკი“ - საგარანტიო და პროცენტი	9 579	3 217
2	სს „ბაზის ბანკი“ - პროცენტი	428 258	95 390
3	სს „ბაზის ბანკი“ - საგარანტიო	234 505	641 469
	ჯამი:	**672 342**	**740 076**

10. მოგების გადასახადი

2019 წელს 16142 ლარის გაცემული დივიდენდიდან კუთვნილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 1210 ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადი არ არის დარიცხული რადგან 2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის განაწილება და გაცემა, რის გამოც არ მოხდა მოგების გადასახდის აღიარება.

11. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება									
ნაშთი: 31.12.2019	**236115**	**524620**	**743600**	**754392**	**13138243**	**79909**	**415149**	**1900004**	**17792032**
აქტივების შეძენა	120 079	826 993	-	15 001	797 648	948	5 873	61 070	**1 827 612**
აქტივების გასვლა	-	(986 704)	-	-	(15 021)	(345)	(4 387)	(51 714)	**(1 058 170)**
ნაშთი: 31.12.2020	**356194**	**364909**	**743600**	**769393**	**13920870**	**80512**	**416635**	**1909360**	**18561475**
	-	-	-	-	-	-	-	-	-

აღიარებული ცვეთა									
ნაშთი: 31.12.2019	**0**	**0**	**192817**	**225467**	**4833316**	**54214**	**168607**	**750871**	**6225292**
ცვეთის დარიცხვა	-	-	35 058	49 206	881 173	6 861	39 358	162 255	**1173912**
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	(6 777)	(229)	(653)	(39 048)	**(46 707)**
ნაშთი: 31.12.2020	**0**	**0**	**227875**	**274673**	**5707712**	**60846**	**207312**	**874079**	**7352497**
საბალანსო ღირებულება									
31.12.2019	**236115**	**524620**	**550783**	**528926**	**8304926**	**25695**	**246541**	**1149133**	**11566739**
31.12.2020	**356194**	**364909**	**515725**	**494721**	**8213158**	**19666**	**209323**	**1035282**	**11208977**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

საწარმომ ძირითადი საშუალებების ნაწილის (რომელთაც საბალანსო ღირებულება არ გააჩნდა, ცვეთის დარიცხვის გზით მისი ამოწურვის გამო) აღიარებისათვის გამოიყენა რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, რომელიც დადგენილი იყო 2017 წლის მოგების გადასახადის გამოანგარიშების მიზნით. რეალური ღირებულებით შეფასების შედეგები ასახულია გაუნაწილებელ მოგებაში.

საწარმოს ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) აქვს ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები

მიწის ნაკვეთები	*210,986*
შენობები	*16,879*
ნაგებობები	*507,124*
მანქანა-დანადგარები	*4,661,036*
სატრანსპორტო საშუალებები	*422,219*
სხვა არამატერიალური აქტივები	*10,596*
	5,828,840

12.არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
	შეძენის ღირებულება				
1	საბუღ. პროგ ,,ორისი" 5 მომხ	1 677	-	-	1 677
2	მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიები	481	-	-	481
3	წიაღის მოპოვების ლიცენზიები	596 489	70 495	56 641	582 635
4	ელ სიმძლავრის გაზრდის ნებართვა	33 898	-	-	33 898
	ჯამი	**632 546**	**70 495**	**56 641**	**618 692**
	ამორტიზაცია	**ნაშთი 31.12.2020**	**დარიცხვა**	**ჩამოწერა**	**ნაშთი 31.12.2019**
1	საბუღ. პროგ ,,ორისი" 5 მომხ	1334	-	-	1334
2	მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიები	467	110	-	357
3	წიაღის მოპოვების ლიცენზიები	274237	153659	51934	172513
4	ელ სიმძლავრის გაზრდის ნებართვა	12712	-	-	12712
	ჯამი	**288750**	**153769**	**51934**	**186916**
	საბალანსო ღირებულება	**343796**	**-83274**	**4706**	**431776**

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივიები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ამორტიზაციის თანხის გამოკლებით.

13. გრძელვადიანი მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	გრძელვადიანი სესხი	53 836	259 313
2	გრძელვადიანი დარიცხული პროცენტები	164 693	145 667
	ჯამი:	**218 529**	**404 980**

გრძელვადიანი სესხის პირობები:

ხანგრძლივობა: 2015 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის აპრილამდე.

წლიური სარგებელი: 13.00%

სხვა: პროცენტის დაფარვა მოხდება ძირითადი თანხის დაფარვის შემდეგ

14. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	ნედლეული და მასალები	1 701 694	2 107 926
2	დაუმთავრებელი წარმოება	1 449 395	1 023 083
3	მზა პროდუქცია	464 523	497 342
	ჯამი:	**3 615 611**	**3 628 350**
	პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	**13 872 658**	**16 109 744**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებით, მისი აღრიცხვა ხდება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5 634 493	5 125 857
2	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(389 719)	(378 706)
3	მოთხოვნები კომპანიას პერსონალის მიმართ	1 156	120
4	მოთხოვნები გადახდილი ავანსებით	80 323	5 686
6	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	23 624	17 400
	ჯამი:	**5 349 877**	**4 770 357**

16. ფული და ფულადი ეკვივალენტები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	ფული სალაროში ლარი	317	2 770
2	ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ლარში	47 610	89 833
3	ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	(1)	-
	ჯამი:	**47 926**	**92 603**

17. საწესდებო კაპიტალი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საწარმოს განსაზღვრული აქვს საწესდებო კაპიტალი 44130 ლარის ოდენობით, აღნიშნული საწესდებო კაპიტალი შევსებულია სრულად და დამფუძნებლებს არ ეკისრებათ რაიმე ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შევსებაზე.

18. გრძელვადიანი სესხი

გრძელვადიანი სესხი 2019-12-16/0002/BSNVR/096760/088 – 2 000 000 ლარი

ბანკის გრძელვადიანი სესხის ვალდებულება სულ 31.12.2020 წლისათვის - 1 523 308 ლარი, მ.შ.
გრძელვადიანი სესხის ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 727 758 ლარი.
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 795 550 ლარი.
სესხი აღებულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე.
სესხის ხანგრძლივობა: 17/12/2019 დან 19/12/2022 მდე
წლიური სარგებელი: 12.50 %
სესხი უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით.

გრძელვადიანი სესხი ბაზის ბანკი 2020-06-09/0001/BSNVR/096760/107 - 1 000 000 ლარი

ბანკის გრძელვადიანი სესხის ვალდებულება სულ 31.12.2020 წლისათვის - 881 480 ლარი, მ.შ.
გრძელვადიანი სესხის ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 622 623 ლარი.
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 258 857 ლარი.

სესხი აღებულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე.
სესხის ხანგრძლივობა: 30/12/2020 დან 08/04/2021 მდე
წლიური სარგებელი: 17.08 %
სესხი უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით.

სულ სწარმოს ბანკის გრძელვადიანი სესხის ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 2 404 787 ლარი, მ.შ.
გრძელვადიანი სესხის ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 1 350 381 ლარი.
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 1 054 406 ლარი.
სესხები უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით. სასესხო და სხვა ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების ინფორმაცია მოცემულია მე-11 პუნქტში.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	მომწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულება	4 184 058	3 366 261
2	მიღებული ავანსები	235 457	3 352 447
	ჯამი:	**4 419 515**	**6 718 708**

20. გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი და სხვა მოკლევადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება 31.12.2020 წლისათვის - 1 054 406 ლარი.

სხვა მოკლევადიანი სესხები:

მოკლევადიანი სესხი 2016-07-15/0008/CLN/096760/028 – 500 000ლარი.

მოკლევადიანი სესხი 2020-09-07/0035/CLN/096760/117- 600 000 ლარი.

მოკლევადიანი სესხი ბაზის ბანკში 2020-12-30/0024/CLNVR/096760/123 – 300 000 ლარი.

სულ აღებული მოკლევადიანი სესხის ვალდებულებები: - 2 454 406 ლარი.

სესხები უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით. სასესხო და სხვა ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების ინფორმაცია მოცემულია მე-11 პუნქტში.

21. საგადასახადო ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	60 755	66 822
2	გადასახდელი დღგ-ს გადასახადი	26 342	(112 556)
3	ჩასათვლელი დღგ-ს გადასახადი	(18 833)	(6 342)
4	ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსაკრებელი	5 627	32 069
5	ქონების გადასახადი	8 826	10 029
6	სხვა გადახდილი გადასახადები	25 038	39 599
	ჯამი:	**107 755**	**29 621**

22. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	ვალდებულებები საწ. პერსონალის წინაშე	243 267	261 806
2	გადასახდელი პროცენტები	14 291	22 108
3	გადასახდელი დივიდენდები	36 750	36 750
4	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 228	-
	ჯამი:	**300 535**	**320 664**

23. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

ა) დაკავშირებულ მხარეთა სამეურნეო ოპერაციები

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან:

1. შპს „ჯისისი“

ა) ოპერაციის სახე: მომსახურების შეძენა (ცემენტმზიდით, თვითმცლელით, სათვირთო ავტომანქანებით და 2 ერთეული ექსკავატორით მომსახურება)

ბ) 2020 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება 353171 ლარი დღგ-ჩათვლით. საქონლის შესყიდვა 696 ლარი.

გ) დაუფარავი ნაშთის თანხა 2020 წლის ბოლოს 108524 ლარი.

2. შპს „თეგი“

ა) ოპერაციის სახე: 1) მომსახურების შეძენა: 2) საქონლის შესყიდვა;

ბ) 2020 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება 42240 ლარი დღგ-ჩათვლით.

გ) დაუფარავი ნაშთის თანხა 2020 წლის ბოლოს 0 ლარი.

3. შპს მაგისტრალი

ა) ოპერაციის სახე: 1) მომსახურების შეძენა:

ბ) 2020 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება 40001 ლარი დღგ-ჩათვლით.

გ) დაუფარავი ნაშთის თანხა 2020 წლის ბოლოს 61301 ლარი.

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან:

1. შპს თეგი

ა) საქმიანობის სახე: საქონლის შესყიდვა;

ბ) 2020 წლის განმავლობაში საქონლის შესყიდვა 383 ლარი.

გ) დაუფარავი ნაშთის თანხა 2020 წლის ბოლოს 0 ლარი.

2. შპს თეგი - სესხი

სულ დავალიანება 2020 წლის დასაწყისში 404980 ლარი

2020 წელს გაცემული სესხის თანხა 8800 ლარი

2020 წელს დაბრუნებული თანხა 214277 ლარი

დარიცხული პროცენტი 2020 წლის 19026 ლარი

სულ დავალიანება 2020 წლის ბოლოს 218529 ლარი

3. შპს ჯისისი

ა) საქმიანობის სახე: 1) მომსახურების გაწევა (სათვირთო ავტომანქანებით); 2) საქონლის შესყიდვა;

ბ) 2020 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება 1400 ლარი დღგ-ჩათვლით, საქონლის შესყიდვა 66582 ლარი.

გ) დაუფარავი ნაშთის თანხა 2020 წლის ბოლოს 0 ლარი.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ,,საქმილსადენმშენი“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 01 ივლისს.



შპს ,,საქმილსადენმშენი,,

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელი



შპს „საქმილსადენმშენი“

ს/კ: 221267064

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1996 წლის აგვისტოში.

იგი არის სამართალმემკვიდრე საიჯარო საწარმო „საქმილსადენმშენი“-ს

იურიდიული მისამართი: თერჯოლის რ-ნი სოფ. კვახჭირი

ფაქტობრივი მისამართი: თერჯოლის რ-ნი სოფ. კვახჭირი

დირექტორი: ავთანდილ ლომთაძე

ტელ: (+995)599511531

შინაარსი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავიI - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარების აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავიII საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV- სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI -შრომის,გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.
9. თავი VIII - კოვიდ-19-ის ზეგავლენა ბიზნეს საქმიანობაზე.



შპს „ საქმილსადენმშენი“-ს
დირექტორის

მიმართვა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი

ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „საქმილსადენმშენი“-ს 2020 წლის ანგარიშს. შპს„საქმილსადენმშენი“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 1996 წლის 12 აგვისტოს სადამფუძნებო კრების მიერ. 1996 წლის აგვისტომდე შპს „საქმილსადენმშენი“ ფუნქციონირებდა, როგორც საიჯარო საწარმო და რომლის დირექტორადაც ვმუშაობდი 1991 წლიდან. ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის საერთო სტაჟი მაქვს 29 წელი, საწარმოს დაფუძნების და შემდგომი წლები ურთულესი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე.

2005 წელს საწარმოდან ნატურით გატანის გზით გამოგვეყო 9 პარტნიორი, გამყოფი ბალანსით აქტივების საერთო ღირებულება შეადგენდა 202114 ლარს და საკუთარი კაპიტალი 113464 ლარს. 20 წლის ბოლოს აქტივების ღირებულება 20784716 ლარი და საკუთარი კაპიტალი 12152123 ლარია. თუ შევადარებთ 2005 წლიდან დღემდე პერიოდს საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 97-ჯერ .

2011 წელს აუქციონზე შევიძინეთ თერჯოლის რ-ნი სოფ. კვახჭირში არსებული ასფალტო/ბეტონის ქარხანა, რომელიც განთავსებულია 70290 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. 2015 წლის მაისში ქარხნის მიმდებარედ შევისყიდეთ 16819 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განვათავსეთ ბეტონის ქარხანა. გავაფართოვეთ მანქანა-მექანიზმების პარკი საგზაო სამუშაოებისათვის. 2016-2019 წლებში, განვაახლეთ ასფალტო/ბეტონის ქარხანა, მთლიანად შეიცვალა მართვის სისტემა, შევიძინეთ მობილური ბეტონის ქარხანა და მანქანა დანადგარები (ბეტონის პომპა, ბეტონ მზიდები, თვითმცლელები, გრეიდერები, ექსკავატორები,დამტვირთველები და ინერტული მასალის გადამამუშავებელი სამსხვრევები), ორიენტაცია აღებული გვაქვს - ასფალტო/ბეტონის, ბეტონის, ბეტონის ნაკეთობების და ქვიშა ღორღის დამზადება რეალიზაციაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსებაში დიდი დახმარება გაგვიწია ,,თიბისი“ და ,,ბაზის“ ბანკმა.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ჩემთან ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის მართვის სტრუქტურაში გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მათი საშუალო ასაკი 30 წლამდეა. იმედი მაქვს ახალგაზრდა თაობა კიდევ უფრო წარმატებით უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირებას.

საწარმოს განვითარებასთან ერთად 1996 წლის შემდეგ სისტემატიურად ხდება დივიდენდების განაწილება პარტნიორებს შორის.

2020 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელებით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2021 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე, მუშაკთა უსაფრთხოებაზე.

მიმაჩნია, რომ შპს „საქმილსადენმშენის“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი

ავთანდილ ლომთაძე

შპს „ საქმილსადენმშენი“-ს
დირექტორის

მიმართვა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი

ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „საქმილსადენმშენი“-ს 2020 წლის ანგარიშს. შპს„საქმილსადენმშენი“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 1996 წლის 12 აგვისტოს სადამფუძნებო კრების მიერ. 1996 წლის აგვისტომდე შპს „საქმილსადენმშენი“ ფუნქციონირებდა, როგორც საიჯარო საწარმო და რომლის დირექტორადაც ვმუშაობდი 1991 წლიდან. ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის საერთო სტაჟი მაქვს 29 წელი, საწარმოს დაფუძნების და შემდგომი წლები ურთულესი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე.

2005 წელს საწარმოდან ნატურით გატანის გზით გამოგვეყო 9 პარტნიორი, გამყოფი ბალანსით აქტივების საერთო ღირებულება შეადგენდა 202114 ლარს და საკუთარი კაპიტალი 113464 ლარს. 20 წლის ბოლოს აქტივების ღირებულება 20784716 ლარი და საკუთარი კაპიტალი 12152123 ლარია. თუ შევადარებთ 2005 წლიდან დღემდე პერიოდს საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 97-ჯერ .

2011 წელს აუქციონზე შევიძინეთ თერჯოლის რ-ნი სოფ. კვახჭირში არსებული ასფალტო/ბეტონის ქარხანა, რომელიც განთავსებულია 70290 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. 2015 წლის მაისში ქარხნის მიმდებარედ შევისყიდეთ 16819 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განვათავსეთ ბეტონის ქარხანა. გავაფართოვეთ მანქანა-მექანიზმების პარკი საგზაო სამუშაოებისათვის. 2016-2019 წლებში, განვაახლეთ ასფალტო/ბეტონის ქარხანა, მთლიანად შეიცვალა მართვის სისტემა, შევიძინეთ მობილური ბეტონის ქარხანა და მანქანა დანადგარები (ბეტონის პომპა, ბეტონ მზიდები, თვითმცლელები, გრეიდერები, ექსკავატორები,დამტვირთველები და ინერტული მასალის გადამამუშავებელი სამსხვრევები), ორიენტაცია აღებული გვაქვს - ასფალტო/ბეტონის, ბეტონის, ბეტონის ნაკეთობების და ქვიშა ღორღის დამზადება რეალიზაციაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსებაში დიდი დახმარება გაგვიწია ,,თიბისი“ და ,,ბაზის“ ბანკმა.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ჩემთან ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის მართვის სტრუქტურაში გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მათი საშუალო ასაკი 30 წლამდეა. იმედი მაქვს ახალგაზრდა თაობა კიდევ უფრო წარმატებით უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირებას.

საწარმოს განვითარებასთან ერთად 1996 წლის შემდეგ სისტემატიურად ხდება დივიდენდების განაწილება პარტნიორებს შორის.

2020 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელებით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2021 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე, მუშაკთა უსაფრთხოებაზე.

მიმაჩნია, რომ შპს „საქმილსადენმშენის“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი

ავთანდილ ლომთაძე

თავი I - საქმიანობის ანგარიში:

საზოგადოების მართვა - საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით, პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით.

საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში, პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით. საზოგადოების პარტნიორებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების წესდებით საზოგადოების წევრს არ ქონდა უფლება წილი გაასხვისოს პარტნიორთა თანხმობის გარეშე. ამასთან ერთად ,,მეწარმეთა შესახებ კანონში“ დამატებული მუხლები წილის გასხვისების უფლებას არ იძლევა თუ ყველა პარტნიორი არ იქნა თანახმა. რის გამოც რამდენიმე პარტნიორს შეექმნა ბარიერი წილის გასხვისებასთან დაკავშირებით.

ამასთან დაკავშირებით 2018 წლის 14 ივლისს პარტნიორთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა ყველა პარტნიორი წესდებაში შეტანილი იქნა ცვლილებები:

- პარტნიორს თავისი წილი ან წილის ნაწილი შეეძლება გაასხვისოს ნებისმიერ სხვა პირზე და საზოგადოების პარტნიორები წილის ან წილის ნაწილის შეძენის უპირატესი უფლებით არ ისარგებლებენ.
- პარტნიორის მიერ წილის ან წილის ნაწილის გასხვისებას ან დაგირავებას არ სჭირდება პარტნიორთა კრების თანხმობა.
- წილის (წილის ნაწილის) გასხვისების შემდეგ, შემძენზე გადადის ყოფილი პარტნიორის ყველა უფლება-მოვალეობა.
- პარტნიორის წილი გადადის მემკვიდრეობით და მემკვიდრის (მემკვიდრეთა) მიერ წილის მიღება არ საჭიროებს პარტნიორთა კრების თანხმობას. წილის მემკვიდრე(ები) ხდება (ხდებიან) საზოგადოების პარტნიორ(ებ)ი.

აღნიშნული ცვლილებით პარტნიორის უფლება ექნება თავისი კუთვნილი წილი თავისუფლად განკარგოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.


საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (1996 წლის 12 აგვისტოს ოქმი #1) 1996 წლის 30 აგვისტოდან შპს ,,საქმილსადენმშენის“ დირექტორად არჩეულ იქნა ავთანდილ ლომთაძე დაბადების წელი 1958, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 30,83%-ის მფლობელი.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.




საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,საქმილსადენმშენის“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა.
2. ნავთობსადენის მშენებლობა.
3. ასფალტის წარმოება.
4. ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება
5. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და გადამუშავება.
6. სამშენებლო მასალების რეალიზაცია.
7. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

2020 წლის შემოსავალი სახეობების მიხედვით:





ინფორმაცია

მიმდინარე მსხვილი პროექტების შესახებ

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება
1	2	3	4	5
1	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყიბული-სოჩხეთი-ორპირის საავტომობილო გზის კმ 10 - კმ 24 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს "დაგი +"	30.07.2018 30.07.2020	2433056
2	ხონის მუნიციპალიტეტის წყალტუბო - ცაგერის საავტომობილო გზის მე-15 კმ-დან, მეძილეთი - გორდი - ნორას გზის სარეაბილიტაციო და მდინარე ცხენისწყალზე და მდინარე მეჭიაზე სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოები	შპს კავკასუს როუდ პროჯექტ	18.12.2019 28.03.2021	9104921
3	ქუთაისის შემოვლითი გზა-სამტრედიის მონაკვეთების 4-ზოლიან ავტომაგისტრალად მოდერნიზების სამუშაოების ლოტი 3 კმ 20+890 - კმ 30+000	ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა(ფილიალი) საქართველოში აკკორდ ჯორჯია	05.03.2019 03.01.2021	22698361
4	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია) - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კაკასხიდი-ზეკარის კმ1-კმ10 მონაკვეთის რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის სამუშაოები	საქ.რეგიონული განვითარ.და ინფრასტრუქტ.სამინისტროს საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტი	07.12.2018 01.09.2021	17734164
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის ჩხობაძის ქუჩის III შესახვევში გამავალი საავტომობილო გზის 1400 მეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საქ.რეგიონული განვითარ.და ინფრასტრუქტ.სამინისტროს საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტი	09.07.2020 - 09.03.2021	847764

6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ფარცხანაყანევში N44 ქუჩაზე საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები	თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	09.03.2020 - 31.07.2020	449731
7	იმერეთის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები ე.ტ N 78-20	საქ.რეგიონული განვითარ.და ინფრასტრუქტ.სამინისტროს საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტი	21.07.2020 - 01.02.2022	10000000
8	იმერეთის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები ე.ტ Nე.ტ.#150-20	საქ.რეგიონული განვითარ.და ინფრასტრუქტ.სამინისტროს საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტი	28.10.2020 - 28.11.2022	20000000

აღნიშნული სამუშაოებით მივიღეთ საკმაო გამოცდილება და გაგვიჩნდა შესაძლებლობები სხვა სოლიდურ ტენდერებში მონაწილეობის.

ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმომადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ ყველა ფარულ სამუშაოს. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება ექსპერტიზის დასკვნით.





თავი II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;
- არამატერიალური აქტივების - ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება.
- შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა კანონმდებლობის მიხედვით.

მიმდინარე გეგმები:

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობას რამოდენიმე მსხვილ პროექტებში.
- განვითარების რესურსები:
- მანქანა- მექანიზმების შეძენა გზის სამუშაოებისათვის.
- გვაქვს ათი ქვიშა-ხრეშის კარიერი, საკმაო რაოდენობის რესურსით.

- დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა ფრაქციის ღორღი და გარეცხილი ქვიშა.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- ბეტონის წარმოებაში ვიყენებთ ინოვაციურ დანამატებს, რაც ხელს უწყობს სწრაფ შრობას. ვიყენებთ დანამატებს, რომელიც ცვლის არმატურას.
- სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნაკეთობას ვამზადებთ საკუთარ ბაზაზე.





თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხიანად შესრულებისთვის სისტემატიურად ახორციელებს ინვესტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.


აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს 2020 წელს შეძენილი:

- ერთი ერთეული ქვის ამსხვრევი დანადგარი MEM.
- ერთი ერთეული ქვის ამსხვრევი დანადგარი REV 98.
- ერთი ერთეული ავტოამწე.
- ერთი ერთეული თვითმცლელი.




საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:


1. ბოლო 10 წელში აქტივების ზრდა




2. ინვენსტიციები ძირითად საშუალებებში 2006 წლიდან 2020 წლის ჩათვლით



3. 2003 წლიდან 2020 წლის ჩათვლით შემოსავლები:




4. დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა 2004 წლიდან დღემდე



თავი IV სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა წლების მიხედვით



მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება, ასევე სამუშაოს შესრულებისას გამოვლენილი პროფესიონალიზმისა და გულმოდგინებისთვის გამოიწერება პრემია, 2020 წლის მონაცემებით პრემია გამოიწერა ოცდათორმეტ მუშაკზე. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

საწარმოს თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ორჯერ იაფია ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირის.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. 2020 წელს დაჯარიმებული და გაფრთხილებული იქნა ოცდათერთმეტი მუშაკი.

შპს „საქმილსადენმშენი“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში.


საწარმო უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს “საქმილსადენმშენი“-ს მიზანი საწარმოს მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

შპს „საქმილსადენმშენი“ ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება მათთვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და ორგანიზაციის „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

შპს „საქმილსადენმშენის“ მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ საწარმოში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან საწრმოში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საწრმოს საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.


შპს „საქმილსადენმშენ“–ში დასაქმებული თანამშრომლების ასაკობრივი სტრუქტურის დასადგენად გამოვყავით სამი ასაკობრივი ჯგუფი 1) 30 წლამდე , 2) 30–დან 55 წლამდე და 3) 55 წელს ზემოთ თანამშრომლები.

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი შედეგები:



შპს „საქმილსადენმშენ“–ში დასაქმებული თანამშრომლები დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით შეგვიძლია გადავანაწილოთ სამ ძირითად ჯგუფში, როგორც: ხელმძღვანელი, სპეციალისტი და მუშა.

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი შედეგები:



ადამიანის უფლებების დაცვა

შპს "საქმილსადენმშენი" იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საწრმოს თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საწრმოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.


საწრმოს არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დასჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშრებული რაიმე სამართმლებრივი ღონისძიებები.

შპს „საქმილსადენმშენი" მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ საწარმოო-ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები


საანგარიშო პერიოდში ბეტონის წარმოება სახეობების მიხედვით:

დასახელება	რეალიზებული კბმ	დაარმატურებული პროდუქციაში გამოყენებული კბმ	საკუთარ ობიექტებზე გამოყენებული კბმ	სულ წარმოებული კბმ
ბეტონი ბ 25	2675	227	3153	6055
ბეტონი ბ 22,5	3895	2710	300	6905
ბეტონი ბ 30	4845	403	1836	7084
ბეტონი ბ 20	84	632	136	852
ბეტონი ბ 15	178	0	33	211
ბეტონი ბ 7,5	76	0	0	76
ბეტონი ბ 35	12820	301	13575	26696
ბეტონი ბ 10	51	0	887	938
ბეტონი ბ 40	24	283	0	307
ბეტონი ბ 30 ფიბრო	0	0	169	169
ჯამი	**24648**	**4555**	**20089**	**49293**




ასფალტის წარმოება სახეობების მიხედვით:

წარმოებული ა/ბეტონი			
დასახელება	რეალიზებული ტონა	საკუთარ ობიექტებზე ტონა	ჯამი ტონა
ა/ბ წვრილმარცვლოვანი ფოროვანი	1062	4876	5938
ა/ბეტონი წვრილმარცვლოვანი მკვრივი	2768	38702	41470
ა/ბეტონი ქვიშოვანი	321	227	548
ჯამი	**4152**	**43804**	**47956**



საანგარიშო პერიოდში ქვიშა/ხრეშის დამუშავებით მიღებული ფრაქციები.

ფრაქციის დასახელება	კბმ
ქვიშა	35094.74
გატეხილი ქვიშა	20134
შლამი	342
ღორღი 05-12	23567
ღორღი 12-16	12384
ღორღი 12-20	6286
ღორღი 0-40	41941
ქვიშა ხრეშოვანი ნარევი	12642



ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2020 წელს შპს „საქმილსადენმშენის“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	ათასი.კვტ*სთ	1738	239717
2	ბუნებრივი აირი	ათასი კბმ	697	573446
3	დიზელის საწვავი	ლიტრი	1425790	2187367
4	საავტომობილო ბენზინი	ლიტრი	18409	31692

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

2020 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{9\,013\,414}{7\,282\,211} = 1{,}24$$

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{326\,310}{12\,152\,123} = 0{,}03$$

2020 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\text{აქტივების ბრუნვადობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{30221207}{20784716} = 1{,}45$$

$$\text{ძ. ს. გამოყენების ინტესივობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.ს. ღირებულება}} = \frac{30221207}{11208977} = 2{,}70$$

$$\text{მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი} = \frac{\text{რეალიზაციის თვითღირებულება}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{27\,178\,325}{7\,282\,211} = 3{,}73$$

თავიVI -შრომის უსაფრთხოება გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

შპს „საქმილსადენმშენი“ საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად იღებს ვალდებულებას თავისი პერსონალის შრომის პირობების და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კანონით გათვალისწინებული პირობებით და ვალდებულებით. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას და ამ პოლიტიკის განხორციელების და მართვის გეგმას.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მართვის განხორციელება ხდება:

- დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებით,
- მუშა პესონალის ცნობიერების ამაღლება საჭირო სწავლებებითა და ტრენინგებით შრომის უსაფრთხოების საკითხში,
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფით,
- ჯამრთელობის მდგომარეობის რეგულერული კონტროლით რაც საშუალებას გვაძლევს, პროფესიული ტრავმები და დაავადებები თავიდან ავიცილოთ.
- რისკების, საფრთხეების შეფასებით და მათზე ადეკვატური ზომების გატარებით.
- დადგენილ ღონისძიებების მუდმივი მონიტორინგით და გაუმჯობესებით.

საწარმო ორიენტირებული არის საკუთარი პერსონალის კეთილდღეობაზე და არ იშურებს მატერიალურ და ფიზიკურ სახსრებს ამ მიზნის მისაღწევად, რათა შექმნას ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქტი.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ნარჩენების შესახებ კანონით. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენების შენახვა, სუპერაციას და გატანას ვახდენთ კანონის შესაბამისად.

თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას.ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებით, თუ უარყოფით ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი. საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას:

დაზღვეული ობიექტია:

1. თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიადგა ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. შტორმის, ციკლონის, წყალდიდობის, მეწყერის, წყლის დონის ამაღლებით და სხვა ბუნებრი მოვლენებით გამოწვეული ზარალი.
3. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულბების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
- ავტომანქანის საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.
- საქმიანი ეზოში დაყენებული 18 ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
- საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
- ქვიშა-ღორღი, ბეტონი, ასფალტო/ბეტონის გასვლისას იწონება და ფიქსირდება ვიდეოკამერით.

- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად ვუცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია:

წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით. ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მატერიალური/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- ვაზღვევთ ქონებას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:


- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხიმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია სესხის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებასთან, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ღირებულების ცვლილებებზე. საანგარიშო პერიოდში ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული გვაქვს ერთი კრედიტი სესხის სახით ლარში, ფიქსირებული განაკვეთით 14%. სისტემატიურად ვსარგებლობთ საბანკო გარანტიებით ტენდერებში მონაწილეობისათვის ობიექტის სამუშაოების შესრულებაზე და საავანსო გარანტიებით, 4%-იანი ფიქსირებული განაკვეთით. საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს. კომპანიის სამუშაოების დიდი ნაწილი გრძელვადიანი პროექტებია, სადაც კონტრაქტორი სახელმწიფოა და სამუშაოების ღირებულებაც განისაზღვრა

ეროვნულ ვალუტაში. ამ სამუშაოებისათვის საჭირო მასალების დიდი ნაწილი მიბმულია ლარის კურსზე (ცემენტი, ბიტუმი, საწვავ-საცხები მასალები, არმატურა), შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე, ამასთან, კონტრაქტების მიღება ხდება ტენდერით, სადაც მაღალი კონკურენციის პირობებში სამუშაოების ფასი დაბალია და შეუძლებელია სავალუტო რისკის გათვალისწინება. ამას დაემატა ავანსის დაბეგვრის საკითხი.

ფინანსურ შედეგზე უარყოფითი გავლენა იქონია ლარის კურსმა ამ გრაფიკიზე ნაჩვენებია კურსის ვლილება 2020 წელს.



ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2021 წლის 01 ივლისს.

საზოგადოების დირექტორი

ავთანდილ ლომთაძე